ჩემი ლამაზი სარწმუნოება ყველა მხრიდან მეცნიერებას უკავშირდება

4

# ჩემს სახლში დამალული მეცნიერება



ბილგენურ ჩორლუ




დიანეთის საქმეთა სამმართველოს
გამომცემლობა საბავშვო წიგნები

ჩემი ლამაზი სარწმუნოება ყველა
მხრიდან მეცნიერებას უკავშირდება – 4

ჩემს სახლში დამალული მეცნიერება

გამოცემის ხელმძღვანელი : დრ. იუქსელ სალმან
გამოცემის კოორდინატორი : იუნუს აქქაია
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
გამოცემის კონტროლი : ისმაილ დერინ
გამოცემის მომზადება : ალი იუჯეერ

დამზადება : ქაით გემი აჟანს
ავტორი : ბილგენურ ჩორლუ
მხატვარი : ფათმა პანდე სოიიით
პროექტის რედაქტორი : სევდე სევან უსაქ
გარეკანის დიზაინი : ფათმა პანდე სოიიით
გრაფიკული დიზაინი : შეიდა ჯანსევერ
შესწორება : ასენა მერიჩ

ნაშრომის განმხილველი კრების გადაწყვეტილება

ისბნ : 978-975-19-6355-6
სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძემ
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქარ


# პროლოგი

ძვირფასო მეგობრებო, შემოქმედმა ჩვენ, ადამიანებს, ძალიან დიდი რამეები გვიწყალობა. ალბათ ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იმის ნიჭია, რომ ამ მაწყალობევზე დავფიქრდეთ და მადლიერნი ვიყოთ. ჩვენი წიგნი, ყურ'ანი, გონების გამოყენებას გვირჩევს. ამავდროულად გვიბრძანებს, ეს სამყარო შემოვიაროთ, გვაინტერესებდეს ჩვენ ირგვლივ მომხდარი ყველაფერი, დავფიქრდეთ საკუთარ თავსა და ამ სამყაროზე.

ჩვენ, მორწმუნე ადამიანებმა, შემოქმედის ბოძებული გონება უნდა გამოვიყენოთ და მეცნიერული ნაშრომები გავაკეთოთ. ამ საქმის დაწყება ოჯახსა და სოციალურ სფეროში, სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროში მუსლიმი ადამიანების ჩატარებული კვლევების მოძიებით შეიძლება. ეს ყველაფერი საკუთარ შესაძლებლობებში გასარკვევად მნიშვნელოვან მინიშნებებს მოგვაწვდის. ამგვარად, შემოქმედის საყვარელი და სამაგალითო მიმდევრებიდან ვიქნებით. შეგვიძლია მუსლიმი მეცნიერებისგან, რომელთაც ეს სამყარო გაალამაზეს, თავიანთი სარწმუნოებით სამაგალითონი არიან, გამოგონებებით მომავალს ასხივებენ, ჩვენც ავიღოთ მაგალითი და მათ რიგებში აღმოვჩნდეთ.

ეს წიგნი იმიტომ დაიწერა, რომ იმ მუსლიმ მეცნიერებისათვის შევევედროთ, რომლებმაც ბევრი დაბრკოლება გადალახეს და მეცნიერულ კვლევებში თავიანთი კვალი დატოვეს, მათი გარჯისა და შრომისაგან მაგალითი რომ ავიღოთ. სასიამოვნო კითხვას გისურვებთ და ვიმედოვნებ, რომ წაკითხული ინფორმაცია სამომავლო კვლევებისათვის გზას გიჩვენებთ...

დიანეთის საქმეთა სამმართველო



# შესავალი

610 წლის შემდეგ, პზ. მუჰამმედის (ს.ა.ვ.) შუამავლობის მისიის მიღების შემდეგ, სამყარო უფრო ნათელი, მშვიდი და დაცულია. ამ დროიდან მოყოლებული მუსლიმები ბევრს ცდილობდნენ ყურ'ანში მოხსენიებული სილამაზეებისათვის მიეღწიათ, ჩვენი შუამავლის დარიგებებში დამალული საიდუმლოებები ეპოვათ.

ჩვენი შემოქმედი, რომელიც გონებასა და გამჭრიახობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მოელის რომ ადამიანებმა იშრომონ, ცყუილად არ იყვნენ, იფიქრონ და რამე ახალი შექმნან. ჩვენი საყვარელი შუამავალიც ამას ურჩევდა გარშემო მყოფებს. ეს რჩევები იმ დროიდან მოყოლებული დღემდე აქტუალურია.

კვლევის ჩატარება, რამეს გამოგონება, ღირებულის შექმნა, ხელოვნებასა და მეცნიერებაში მოღვაწეობა სწორედ იმ რჩევების ზეგავლენით ხდება. ყველა თავისი ნიჭის მიხედვით ეჭიდება საქმეს. შენც, შენი ნიჭის პოვნის შემდეგ, მას ამ სამყაროს გასაუმჯობესებლად, შემოქმედის სასურველ, მოაზროვნე და მშრომელ ადამიანად გარდაქმნისთვის გამოიყენებ, ხომ ასეა?

წიგნების ეს სერია, რომელიც 4 წიგნისაგან შედგება, ერთი მხრივ წარსულში მოღვაწე მუსლიმი მეცნიერების კვლევებს გაგაცნობს, მეორე მხრივ კი შენთვის საინტერესო და სასურველი მიმართულების პოვნაში, ნიჭის აღმოჩენაში დაგეხმარება.

მეცნიერება ჩვენი ცხოვრების ყველა ნაბიჯზეა. ამ წიგნში მეცნიერებასა და განათლებას შორის კავშირს დავინახავთ. გავიგებთ მუსლიმ მეცნიერებს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მედიცინაში, ჯანდაცვაში, ჩვენი სხეულის, სისხლის მიმოქცევის, თვალისა და მხედველობის, წამლებსა და სხვადასხვა დაავადებაში, ბოტანიკაში და მსგავს საკითხებში რა წვლილი აქვთ შეტანილი. გავიგებთ მუსლიმებმა დღემდე რა შემატეს მეცნიერების სამყაროს. ვფიქრობ,
ასეთი შესავალის შემდეგ უკვე მზად ხართ ეს გვერდები
გადაფურცლოთ. სასიამოვნო კითხვას გისურვებთ...



ბილგენურ ჩორლუ



# სარჩევი


| | |
|---|---|
| დროის შეგრძნება | 6 |
| საჭმლის კურთხევა | 14 |
| სისუფთავე და ჰიგიენა | 24 |
| ტანსაცმელი | 46 |
| ხალიჩა | 54 |
| ნივთები | 58 |
| ბაღის მოვლა | 70 |
| ჭადრაკი | 78 |


muslim georgia

# დროის

## რატომაა მნიშვნელოვანი?

მუსლიმებმა დღეში ხუთი დროის ლოცვის შესრულებისას, წელიწადში ერთი თვე მარხვისას, დღესასწაულებისას (ბაირამი) და პაჯობის შესრულებისას, დროს ყურადღება უნდა მიაქციონ. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის, მუსლიმებისათვის დროის შეგრძნება ძალიან მნიშვნელოვანია.



muslim georgia

## ვიდრე დრო გაქვს...

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობდა;

- მოხუცებულობის მოსვლამდე ახალგაზრდობის,
- ავადმყოფობის მოსვლამდე ჯანმრთელობის,
- სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის,
- მოუცლელობის მოსვლამდე თავისუფალი დროის,
- სიკვდილის მოსვლამდე სიცოცხლის ფასი იცოდეთ!

(იხ. პაქიმ, „მუსთედრექ“, 7846)

# შეგრძნება



## როგორ გადის დრო?

ადამიანებმა დროის სწრაფად გალევა რომ შეამჩნიეს, შეეცადნენ ჩასჭიდებოდნენ. მას გაეკიდნენ, ეცადნენ დასწეოდნენ და მიხვდნენ, რომ ეს არც ისე მარტივი იყო. თავდაპირველად მზის საათი შექმნეს. მიწაში ჩარჭობილი ჯოხის ჩრდილი, მზის მიხედვით წრეზე გამოსახულ ციფრებს რომ ეხებოდა, ხვდებოდნენ რა დრო იყო.

## დრო შეუმჩნევლად გარბის...

ინდოეთში „გათიკა-იანტრა“-ს სახელობის წყლის საათი გამოიყენებოდა. ნახევარწრის ფორმის სპილენძის ჭურჭლის ფსკერზე პატარა ხვრელი იყო. ამ ჭურჭელს წყლის ავზში რომ მოათავსებდი, მასში წყალი ივსებოდა, მძიმდებოდა და იძირებოდა. ავზის ფსკერს რომ ეჯახებოდა „ტაკ“ ხმას გამოსცემდა და დამკვირვებელი ხვდებოდა, რომ „ჭურჭლის დრო“ გავიდა.

## თავი მაღლა ასწიე და საათს შეხედე

ეგვიპტეში მცხოვრებმა ცნობილმა ასტრონავტმა, იბნ იუნუსმა გამოიგონა საათი სახელად „სურეია“. ეს თორმეტი ნათურისაგან შემდგარი ჭაღი იყო. ყოველ ნათურაში განსაზღვრული რაოდენობის ცხიმი ესხა. აი მაგალითად, პირველ ნათურაში იმდენი ცხიმი ესხა, რომ ერთ საათში დამწვარიყო. მეორე ნათურაში კი – ორ საათში რომ დამწვარიყო. ამგვარად, ნათურის ჩაქრობის მიხედვით ხვდებოდნენ, რომელი საათი იყო.



## დიდებული საათებზე გადასვლა

დიარბაქირში მცხოვრებმა მუსლიმმა მეცნიერმა, ისმაილ ალ-ჯაზარიმა დროის მაჩვენებელი მექანიზმი შექმნა. შეგვიძლია საათიც ვუწოდოთ, თუმცა ეს სპილოს წყლის საათი იყო.



კონტეინერები, ქვები და დაჩრდილული სვეტები გასაგებია, მაგრამ სპილოს საათთან რა ესაქმება?

## სპილო და საათი

ისმაილ ალ-ჯაზარის შემუშავებული მექანიზმი, სპილოს მოდელში ჩამალულ დროის გამომთვლელ მექანიზმს მოიცავდა. ამასთან ერთად, ამ მექანიზმის ასამუშავებლად სპილოზე ზევით რამ იყო მოთავსებული. სპილოს მუცელში არსებული მექანიზმი ნახევარი საათის მონაკვეთს აჩვენებდა. დუბაიში, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში, სპილოს წყლის საათზე სამჯერ უფრო დიდი მოდელია მოთავსებული. მსურველებს შეუძლიათ სანახავად წავიდნენ.

აქ ვხედავთ, თუ რამდენი საათი გავიდა.

ცნობილი მეთაურისა და საჯარო მოხელის, სალადინის ფიგურა ხელს რომ ასწევს, მასთან ჩიტი ჩნდება.

ციხე-სიმაგრიდან გამოსული ბურთი ჩიტის ნისკარტთან მიდის. ის ნისკარტს ხრის და ბურთს გველს აწვდის.

გველი, რომელიც ჩიტის ნისკარტიდან ჩამოცვენილ პატარა ბურთებს ყლაპავს, ნელ-ნელა ქვემოთ ეშვება და პირში მოქცეულ ბურთს ჯამში აგდებს.

ჯამში ჩაცვენილი ბურთები სპილოს მხედრის მკლავს აამოძრავებენ და ამ მოძრაობით ვხვდებით, რომ ნახევარი საათი შესრულდა.



სიმურგს იცნობ. უსაქმურად არ ჩერდება. ყოველ ნახევარ საათში ერთ წრეს არტყამს.

აი მოვედით ციხე-სიმაგრესთან. ყველაფერი აქედან იწყება. მასში ოცდაათი ბურთია მოთავსებული. პატარა ბურთები ჩიტის ნისკარტისაკენ მიიწევენ.

„ქათიფი“, რომელიც „მწერლის“ მნიშვნელობით გამოიყენება, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ წრეს არტყამს და პირვანდელ ადგილს უბრუნდება.

ამ მომხიბვლელი სპილოს მუცელში მექანიზმია მოთავსებული, რომელიც წყალზე მუშაობს. სწორედ ამიტომ ეწოდება სპილოს წყლის საათი. ეს მექანიზმი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ განახლდება და თავიდან იწყება. სპილოს მხედრის მკლავები და სათავეში მოთავსებული ჩიტი ყოველ ჯერზე განკუთვნილ მოძრაობას ასრულებენ. ამგვარად, საათი ნახევარი საათის მონაკვეთებს გვიჩვენებს.

## ბაბუას ჯაჭვიანი საათი

თუ ჰქონდა შენს ბაბუას მრგვალი ფორმის, ბოლოში ჯაჭვიანი და გვერდებზე მოსამართიანი საათი? ამგვარი, ჯაჭვით ტანსაცმელზე დასამაგრებელ, მექანიკურ საათებს, ჯაჭვის გამო „ჯაჭვის საათი“ ეწოდებათ.



## დღეს რას ვაკეთებთ?

დღესდღეობით უზარმაზარი სპილოს წყლიანი საათის გარეშეც შეგვიძლია დროის განსაზღვრა. კედლის საათების, მაგიდის საათების, გუგულიანი საათების, მაჯის საათების, უფრო მეტიც, ყელსაბამსა და ბეჭედში დატანებული პატარა საათების, მობილური ტელეფონის საათების წყალობით უკვე დრო ჩვენ ხელთაა და მზამზარეული გველოდება.





## ლოცვის დრო

არ გამოიჩინოთ სისუსტე ხალხის დევნაში. და თუ თქვენ იტანჯებით, უეჭველად, იტანჯებიან ისინიც, როგორც თქვენ იტანჯებით, და თქვენ ალლაჰისგან იმის იმედი გაქვთ, რისი იმედიც მათ არ გააჩნიათ. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! (ნისა სურესი, 104. აყეტ)




## დღეში ხუთი დროის

- მზის ამოსვლამდე 'დილის ლოცვა'
- მზე ზენიტს რომ მიაღწევს, მას შემდეგ 'შუადღის ლოცვა'
- შუადღის ლოცვის შემდეგ, მზის ჩასვლამდე 'სამხრობის ლოცვა'
- მზის ჩასვლის შემდეგ 'საღამოს ლოცვა'
- საღამოს ლოცვის შემდეგ 'ძილის წინა ლოცვა'



შენ რას გამოიგონებდი დროის გასაზომად?



## ფარძის გარდა

ფარძი (აუცილებლად შესასრულებელი) ლოცვების გარდა, ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, ღვთისმსახურების შესრულების მიზნით, სხვა ლოცვების შესრულებაც შეგვიძლია. ამას „ნაფილე ლოცვები“ ეწოდება. ეს ძალიან დიდი მადლია, ძალიან დიდი...



## მარხვის დრო

რამადანის თვეში მარხვა ფარძია. წელიწადში ერთხელაა. რამადანის თვის ნახევარმთვარის დანახვით ვხვდებით მის მოსვლას. მარხვის დაწყებას ‘იმსაქი’, მარხვის დასრულებას კი ‘იფთარი’ ეწოდება. დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ, ჩვენი მარხვა გაგვიფრინდება.

## ზაქათის დრო

ზაქათი, ჩვენი ქონებით გაკეთებული ღვთისმსახურებაა. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური დახმარების ფორმაა და დროსთანაა დაკავშირებული. წელიწადში ერთხელ გაიცემა. ზაქათის გარდა არის კიდევ სხვა დახმარების ფორმები. მათ არ აქვთ განსაზღვრული დრო და 'სადაყა' ეწოდება.




## ჰაჯობის დრო

ზილჰიჯჯეს თვის მე-10 და მე-13 დღეებს შორისაა. ჰაჯობისას არაფატის მთაზე როდის უნდა შეევედრო, ესეც კი განსაზღვრულია. დროს ყურადღებას თუ არ მიაქცევ, ვედრების დრო გაგექცევა.

# საჭმლის კულტურა

## უსაზღვრო წყალობა გვარგუნა

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს.

(ბაკარა სურესი, 172.ეყეც)





## რა არის ფლანგვა?

ფულის, ქონის, საკვების, სასმელის ან შრომის უადგილოდ ხარჯვას, განიავებას „ფლანგვა" ეწოდება. ფლანგვა ჩვენს შემოქმედს არ უყვარს.







## ერთი აია წამიკითხე

ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი.

(არაფ სურესი, 31.აყეც)











## რა უნდა გავაკეთოთ ფლანგვისგან თავის ასარიდებლად?

თეფშზე იმდენი საჭმელი უნდა გადმოვიღოთ, რამდენსაც შევჭამთ. სტუმრად რომ ვიქნებით და დანაყრების მიზნით ფლავის დამატებას შემოგვთავაზებენ, შეგვიძლია ვუთხრათ: „დიდი მადლობა, არ მინდა საჭმელი დამრჩეს. რაც მაქვს ამას შევჭამ და თუ ვერ დავნაყრდი, გადმოვიღებ.“



## ყური უგდე ჩვენი შუამავლის სიტყვებს

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობდა: „ღმერთო, დამიფარე შიმშილისგან. ის რა ცუდი მდგომარეობაა, ადამიანს უმოძრაოდ ტოვებს.„ (იბნ სა'დ, I, 408-409)







## საჭმლის არჩევა

საჭმლის არჩევა მაშინ არის მიღებული, თუ ჩვენი დედები ბაზრობაზე ბოსტნეულს ყიდულობენ და მათ შორის კარგს არჩევენ. „ეს არ მომწონს, ამას არ აქვს კარგი გემო, ამაში ბოსტნეულია, ამაში მწვანილია“ – ამაზე არ მაქვს საუბარი. ასეთი რამ ხომ ისედაც მიუღებელია. ებუ ჰურეირე ჩვენს შუამავალს ეუბნებოდა, რომ საჭმელს არ არჩევდა, თუ შიოდა, რასაც წინ დაუდებდნენ, იმას ჭამდა. (იბნ მაჯე, ტაბაკატ, II, 1122)

# სუფრის განლაგება

## როგორ უნდა დავსხდეთ სუფრასთან?

რამეზე მიყრდნობილი, წამოწოლილი, ცალ მხარეს წამოწოლილი საჭმეს არ ჭამდნენ. ეს ჩვენი შუამავლის ჰადისიდან შევიტყვე: „რაც შემეხება მე, კარგად მოთავსებული არასდროს ვჭამ“.

(ებუ დავუდ, III, 476)









## კვება ჰადისის მიხედვით

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობდა: „თუნდაც ერთი მუჭა ფინიკი იყოს, ვახშამზე უარი არ თქვათ“. (ტირმიზი, IV, 287)

## რა იყო? რა მოხდა?

უკვე ურიგოდ, რაც მოგაფიქრდებოდა, იმის ჭამა აღარ იყო. საჭმელი წვნიანით უნდა დაგეწყო, თევზის, ხორცის ან ქათმის ძირითადი კერძით უნდა გაგეგრძელებინა და ხილით უნდა დაგემთავრებინა.

## სამჯერადი კვება

800-იან წლებში ანდალუსიელმა აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ნაფიმ, რომელიც ზირიაბის სახელით იყო ცნობილი, კვების რაციონზე ინფორმაციის მოწოდება დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა სამჯერად კვებაზე.



muslimgeorgia



## რა არ უნდა ვჭამოთ?

ჩვენი შემოქმედი ამბობს: მან ხომ მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალათ თქვენ და ის, რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად.„ (ბაკარა სურესი, 173.აყეთ)



## ცოტათი ცომეულობა!

მე-14 საუკუნეში დანიელებმა, რომლებიც მანამდე ძირითადად ბოსტნეულით იკვებებოდნენ, მუსლიმებისაგან ცომეულობის რეცეპტები ითხოვეს.

## ალალი საჭმელების პლანეტა ახსენე

ძალზე ხუმარა ხარ. რა თქმა უნდა, ალალი საკვები სხვა პლანეტაზე არ იწარმოება და დედამიწაზე არ იგზავნება. შემოქმედმა ალალი და ჰარამი ჩვენს წიგნში, ყურ'ანში განგვიმარტა. ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმაც გვამცნო ჰარამი საკვები და სასმელი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, აიები და ჰადისები წავიკითხოთ, შევიცნოთ. ამავდროულად საჭმლისა და სასმლის შემცველობასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.



## ჩვენი შუამავლის ჭამის წინა ვედრება

„დიდება ალლაჰს, რომელიც გვაჭმევს, გვასმევს და მუსლიმებად დაგვადგინა“. (ებუ დავუდ, ეთ'იმე, 52)

## თუ ვაცნობიერებთ ამხელა ძღვენს?

ჩვენი შემოქმედი ამბობს: მაშ, თვალი მიაპყროს ადამიანმა თავის საკვებს!„ (აბესე სურესი, 24.აყეთ)

## ჩვენი შუამავლის საყვარელი საჭმელები

ცხვრის ხორცი, ხორცის ნეკნი, ქაბაბი, ქათამი, სავათი, ხორცის წვნიანი, ყაბაყი, ზეთისხილის ზეთი, ყველი, ნესვი, ხალვა, თაფლი, ხურმა, ჭარხალი, კაშალოტი, ძმარი.



## პატარა ბავშვის გადმოცემით...

იბნ ებუ სელემე მოგვითხრობს: „მე ჩვენი ძვირფასი შუამავლის (ს.ა.ს.) (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გვერდით ვიზრდებოდი. ჭამის დროს ხელი ხან საით გამირბოდა, ხანაც საით. ამ დრო ჩვენმა შუამავალმა მითხრა: „შვილო, ღმერთის სახელი ახსენე და შენს წინიდან, მარჯვენა ხელით ჭამე“.

(ბუჰარი, ეტ'იმე, 2)



## ბესმელეს ჩაკითხვა

„ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ“ ნიშნავს: ვიწყებ მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

## რა საოცრებები შექმნა შემოქმედმა!

და ცხოველებიც გააჩინა თქვენთვის, მათშია სითბო და სარგებელი , და თანაც მიირთმევთ მათგან. (ნაჰლ სურესი, 5.აყეტ)

بسم الله الرحمن الرحيم



## ყი დამავიწყდა. ახლა რა მოხდება?

ჩვენი შუამავალი ამბობს: „ამიტომ, ჭამის დროს „ბისმილლაჰ“ წარმოთქვით. თუ ჭამის დაწყებამდე დაგავიწყდათ, ჭამის დასრულებისას წარმოთქვით“ (იბნ მაჯე, ეტ'იმე, 7)

## ბევრი ვჭამე და მაინც ვერ დავნაყრდი, რატომ?

თუ ამბობ, რომ ჭამ და ვერ ნაყრდები, მაშინ ჩვენი ძვირფასი შუამავლის რჩევას მიუგდე ყური. ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობს: „სუფრას ერთად მიუჯექით და ღმერთის სახელის ხსენებით დაიწყეთ. ნახავთ, რომ ღმერთი თქვენს საჭმელს ბარაქას მისცემს“ (ებუ დავუდ, ეტ'იმე, 14)

# ყავა





## საიდან იღებს მისი სახელი სათავეს?

ყავის ხე პირველად ეთიოპიაში, კაფას პროვინციაში იპოვეს. არაბულში არსებული „ქაჰვაჰ“ სიტყვა, ქართულად „ყავა“-დ იწოდა.

## ვინ აღმოაჩინა?

ყავა, ეთიოპიელმა თხის მწყემსმა, ვინმე პალდიმ აღმოაჩინა. აშკარაა, რომ პალდი ყურადღებიანი, დაკვირვებული და გარემოს შემსწავლელი ადამიანი ყოფილა.

ალბათ ისურვებ ამის ჩანიშვნას. აბა დაფიქრდი, შენც ყურადღებით რომ დააკვირდე გარემოს, რის აღმოჩენას შეძლებ.

## როგორ უნდა ვიცნოთ?

თეთრი, სასიამოვნო სურნელის ყვავილები აქვს. მომცრო, წითელი ნაყოფი ბალს მოგაგონებთ, მაგრამ არ აგერიოთ, ის ბალი არაა. ცხადია ყავის მომზადებისას იმ ნაყოფს ფინჯანში არ ვყრით და ცხელ წყალს არ ვასხამთ. ნუ შეეცდებით ყავის ასე მომზადებას.



## რას სვამდა ჩვენი შუამავალი?

პზ. აიშეს გადმოცემით, ჩვენს შუამავალს ცივი, ტკბილი შარბათები უყვარდა.



## როგორ აღმოაჩინა?

ქალიდი თხებს, რომლებიც ციცაბო აღმართებზე მარტივად ცოცავდნენ და ბილიკების კუთხეებზე სიარული არ ეზარებოდათ, აბალახებდა. გრილ ნიავში ახალ-ახალი ყლორტებით იკვებებოდნენ, ზოგიერთი ნაყოფის ჭამის შემდეგ ცოცხლდებოდნენ, მოძრაობას უმატებდნენ, ენერგიით ივსებოდნენ და ხტუნვას იწყებდნენ. სწორედ ასე აღმოაჩინეს ყავის პირველი მარცვლები.



გაგახსენდა ის რა ხილი იყო? აბა კიდევ ერთხელ წაიკითხე.



## მართლა ასეა?

მსოფლიოში ყოველდღიურად საშუალოდ 1,5 მილიარდ ფინჯან ყავას მიირთმევენ.

# ყავა



## მართლა ასეა?

მუსლიმები შავ ყავას სვამდნენ. ყავაში რძისა და ნაღების დამატება მე-16 საუკუნეში დაიწყეს.

## რა დღეებმა განვლო!

1650 წელს ერთმა თურქმა ყავა ინგლისში ჩაიტანა და ინგლისელებს ყავა გააცნო.

-ინგლისელებო! ეს ყავაა.

-ყავა! ესეც ინგლისელები...



## რას ამბობდნენ ჩვენი ბაბუები?

ის ადამიანი, ვისაც ერთი ფინჯანი ყავით გაუმასპინძლდები, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებს და „ერთ ფინჯან ყავას ორმოცი წლის პატივისცემა აქვს“

## ხალხს მივაყურადოთ!

ხალხი, ვინც ერთ ფინჯან ყავასთან ერთად გაცოცხლებული საუბრით იხიბლება, ამბობენ: „გულს არც ყავა სურს და არც ყავის კაფე, გულს საუბარი სურს და ყავა უბრალოდ ამის საბაბია.“

## ყავასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

### ყავის ნალექი

ნალექი, რომელიც ფინჯნის ფსკერზე ილექება.

### ქაფი

პაერის ბუშტუკების ერთობლიობა, რომელიც ყავის მოდუღებისას ზედა ფენაზე წარმოიქმნება და კარგი ყავის მახასიათებლადაა მიჩნეული.



### ჰმმ, ძალიან უცნაურია!

ერთადერთი ყავა, რომელიც ნალექთან ერთად სერვირდება, არის თურქული ყავა.

## ვინმემ ჰადისი ახსენა?

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობდა: „ფეხზე მდგომმა არ დალიოთ“. (მუსლიმ, ესრიბე, 12)

## რამდენი ყლუპია ჩემი წყალი?

ჩვენი შუამავალი წყალს ყველაზე ნაკლებ სამ ყლუპად სვამდა.

## ცოტა რამ დალევის პრინციპზე

რაიმეს დალევის დროს, ჩვენი შუამავლის რჩევების მიხედვით შემდეგ ნიუანსებს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

დალევისას უნდა დავსხდეთ.
მესმელეთი უნდა დავიწყოთ.
მინიმუმ სამ ყლუპად უნდა დავლიოთ.
დალევისას არ უნდა ამოვისუნთქოთ.
არ უნდა დავლიოთ ისეთი ჭურჭლიდან, რომლის შიგთავსსაც ვერ ვხედავთ.
არ უნდა დავლიოთ ისეთი ჭურჭლიდან, რომელიც ღამის განმავლობაში ღიად იყო.
დასრულებისას „ელჰამდულილლაჰ“ უნდა ვთქვათ.

## დავლიე, დასრულდა, ახლა რა ხდება?

ჩვენი შუამავალი ამბობ, რომ „იმათით, ვინც ჭამისა და დალევის შემდეგ ამ ყველაფრის მწყალობელს მადლობას გადაუხდის, ალლაჰი კმაყოფილი იქნება“.





# სისუფთავე და ჰიგიენა



## რატომ არის მნიშვნელოვანი?

მუსლიმები სისუფთავეს წინა პლანზე აყენებენ, რადგან სოციალური ცხოვრებაში აქტიურად ერთვებიან, მრევლთან ერთად ლოცვას ასრულებენ, დღესასწაულებისა (ბაირამი) და პარასკევის (ჯუმა) ლოცვების შესრულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

## ჰადისი გამიზიარე!



ეს პაკეტი შენთვის შევარჩიე.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობს: „უეჭველად, ღმერთი სუფთაა და სისუფთავე უყვარს“. (ტირმიზი, ედებ, 41)










## ყველაზე სუფთა ქიმი

ალ-ზაჰრავმა, რომელზეც ჰზ. მუჰამმედის (ს.ა.ს.) სისუფთავესთან დაკავშირებულმა აიებმა შთაბეჭდილება მოახდინა, მე-11 საუკუნეში დაწერილ სამედიცინო წიგნში, ერთი ნაწილი კოსმეტიკის თემას დაუთმო. პარფიუმერია, ცხვირის სპრეი, სავლებები, ხელის კრემი და მსგავსი პროდუქცია გაგვაცნო.



## საპირფარეშოში შესვლისას წარმოსათქმელი ვედრება

საპირფარეშოში შესვლისას ჩვენი შუამავალი ამ ვედრებას წარმოთქვამდა: „ღმერთო, სულიერი და ფიზიკური სიბინძურისგან დამიფარე“. (მუსლიმ, ჰაყზ, 122)







მე-11 საუკუნე 1000-იან წლებს ნიშნავს. ათასი წლის წინანდელ დროზეა საუბარი. სულაც არაა მარტივი ამბავი.



## საპირფარეშოდან გამოსვლისას წარმოსათქმელი ვედრება

საპირფარეშოდან გამოსვლისას შემდეგი ვედრება უნდა წარმოვთქვათ: „მადლობა ღმერთს, რომელმაც ტკივილი განმიქარვა და სიჯანსაღე მიწყალობა“. (იბნ მაჯე, ტაჰა-რეტ, 10)



## ვედრება ცხოვრების ყველა ეტაპზე

როგორც ხედავ, ჩვენი ძვირფასი შუამავალი ყოველ წუთს ვედრებას წარმოთქვამდა. ამ საკითხში ჩვენთვის მაგალითი გახდა. შენც გამიზიარე ერთ-ერთი ვედრება... არ ინერვიულო, შენს ვედრებაზე აამიინ-ს ვიტყვი.

# სხეულის გასუფთავება და ბანაობა



## ბანაობის სიმსუბუქე

შუა საუკუნეების ევროპაში ხალხს ბანაობა და წყლით გასუფთავება არ უყვარდა. მიზეზი არ ვიცი, ალბათ ეზარებოდათ. ამ დროს კი მუსლიმები სისუფთავეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იმდენად, რომ დღის დაღლილობის განსაქარვებლად აბანოში მიდიოდნენ.





შუა საუკუნეები ეწოდება, 476 წელს დასავლეთ რომის იმპერიის დამხობიდან 1453 წელს სტამბოლის დაპყრობამდე არსებულ პერიოდს. მუსლიმებისათვის ნათელი, ევროპელებისათვის კი ბნელი ეპოქა იყო.

## კვირაში ერთხელ მაინც

მოვიდა ჰადისი, რომელმაც ადგილზე ვერ გამაჩერა: „ყოველი მუსლიმი ვალდებულია კვირაში ერთხელ თავი და ტანი დაიბანოს“.

(ბუხარი, ჯუმ'ა, 12)

## ეს კარგი აბანოა!

მე-14 საუკუნეში მოღვაწე, ცნობილმა მოგზაურმა იბნ ბატუტამ ბევრი ილაპარაკა ბაღდადში ნახულ მომხიბვლელ აბანოებზე.

## რა არის ღუსლი?

ღუსლი, მთელ ტანზე აბდესთის აღებას ნიშნავს. ნიეთის (განზრახვა) გაკეთება, პირში და ცხვირში წყლის მიწოდების შემდეგ მთელი ტანის ისე დაბანაა, რომ მშრალი წერტილიც არ დარჩეს.

## პარასკევი დღე, ბანაობის დღე

ჩვენი შუამავალი პარასკევ დღეს განსაკუთრებით გვირჩევდა ბანაობას. „როდესაც ჯუმის სალოცავად მიდიხართ, მთელი სხეული განიბანეთ“. (ბუხარი, ჯუმ'ა, 2)

# ტანის სისუფთავე და საპონი



## როგორ აღმოაჩინეს?

წყლით დასუფთავება კარგი რამეა, მაგრამ საპონის გარეშე მიკროორგანიზმები გაქრებიან? მუსლიმებმა, რომლებსაც მხოლოდ წყლის სისუფთავე არ ჰყოფნიდათ, შუა საუკუნეებში სეზამის ცხიმით ან კიდევ მარილის მსგავსი ცუცე ნივთიერებებით საპონის წარმოება დაიწყეს.

## სხვადასხვა ფორმის საპონები

თავდაპირველად საპონის წარმოება რომ დაიწყეს, სიმყარის მისაღებად ადუღებდნენ, ყალიბებში ასხამდნენ და ამაგრებდნენ. დღეს კი ყველა ფორმის საპონის წარმოება შესაძლებელია.





## და მაინც, რატომ სისუფთავე?

იმ ხალხმა, ვინც ისლამი მიიღო, თავდაპირველად ხუთი დირო-ის ლოცვას გაეცნენ. დღეში ხუთი დიროის ლოცვის შესასრუ-ლებლად მცირე განბანვით (აბდესთი) დაწყებული სისუფ-თავის ქმედებები, ჩვენი შუამავლის რჩევების მიხედვით კბილების გახეხვით, ბანაობით, პირის სუნის გაუნებელ-ყოფით, სასიამოვნო სუნამოების დაპკურებით გაგრძელდა.

## აი ჰადისიც მოვიდა

„სისუფთავე რწმენის ნახევარია". (მუსლიმ, ტაჰარეთ 1)

## საპონის მოგზაურობა

ჯვაროსნული ომების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, მუსლიმებისაგან შესწავლილი საპონის დამზადების ტექნიკა ევროპაში ჩაიტანეს. თუმცა ამას დიდი მოწონება არ დაუმსახურებია.



## ქაფის ხელოვნება

სირიელმა მუსლიმებმა სამკურნალო საპონის გარდა, ფერადი და სურნელოვანი საპონის წარმოებაც დაიწყეს.

## რა კარგია მცირე განბანვა რომ არსებობს

როგორც უკვე იცი, დღეში ხუთი დროის ლოცვის შესასრულებლად მცირე განბანვას (აბდესთი) ვასრულებთ. ამგვარად, დღეში ხუთჯერ მაინც ვიბანთ პირს, ცხვირს, ხელებს, თითებს შუა არსებულ სივრცეს, ყურებს, კისერსა და ფეხებს. თავის ერთ მეოთხედსაც მესჰის სახით ვისუფთავებთ. განა ვინ არის ამ ქვეყანაზე მუსლიმზე უფრო სუფთა?

# თმის მოვლა და შამპუნი



## ჩემს თმას მივმართავ, ეს ყველაფერია მისთვისაა

აღბათ შენც გსმენია ჩვენი შუამავლის ჰადისი, თუ რას უნდა მივაქციოთ ყურადღება თმის მოვლისას. (ებუ დავუდ, IV, 74)

ჩვენი შუამავალი იმასაც კი ამბობს, რომ ჩვენს თმას გარკვეული რამეები უნდა შევთავაზოთ. მისი დაბანა, დავარცხნა და მოვლა სასიამოვნო შეთავაზებებია.

## ჩვენი შუამავლის თმის მოვლის რუტინა

ჩენი შუამავალი თმებს მუდამ ივარცხნიდა, უვლიდა და სუფთა ჰქონდა. ამისათვის სავარცხელს მუდამ თან ატარებდა. ამგვარად ხვდებით, რომ სავარცხლისა და ჯაგრისის ტარება სუნაა (სუნნეთი), ხომ ასეა? თუ ასეა, ჩაადე ჩანთაში ერთი ცალი თმის სავარცხელი.

muslim georgia



## როდის აღმოაჩინეს?

მიღებულია, რომ შამპუნი 1920-იან წლებში გამოიგონეს, მაგრამ 1770 წელს ინდოელმა მუსლიმმა, შექ დინ მუჰამმედმა ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით გახსნა აბანო, სახელად „მუჰამმედის ინდური ორთქლის აბანო". შექ დინ მუჰამმედი შამპუნის აბანოს კარვებით იყო ცნობილი. იმდენად ცნობილი გახდა, რომ მეფეების, ჯორჯ IV-ისა და ვილიამ IV-ის სასახლეებში შამპუნის დამამზადებლად მიიწვიეს.

# კბილის ჰიგიენა



## რას უკავშირდება?

შუამავალი ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ს.) ყოველი ლოცვის წინ კბილებს მისვაკით იწმენდდა. მუსლიმებსაც ამას მოუწოდებდა.

## რას მირჩევდა ჩემი შუამავალი?

„ჩემს მიმდევრებისთვის რთული რომ არ ყოფილიყო, ყოველი ლოცვის წინ მისვაკის გამოყენებას ვუბრძანებდი“. (ბუჰარი, ჯუმ'ა, 8)



## რა არის და რა არ არის?

მისვაკი ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც ღრძილის ინფექციისა და კბილების კარიესის გამომწვევ ბაქტერიებს აუნებელყოფენ.

## თუ არ არის?

მისვაკი თუ არ ჰქონდათ, მუსლიმები ხახვისა და ნივრის სუნის დასახშობად დარიჩინს, ქოქოსსა და კარდამონს (ილი) ჭამდნენ.





## ჰადისი გამიზიარე!

ჩემი შუამავალი ამბობს, რომ: „მისვაქი გამოიყენეთ. უეჭველად, ის თქვენი პირის ღრუს განმწმენდია“. (ბუხარი, სავმ, 27)

## კიდევ ერთი ჰადისი გამიზიარე!

„საკვირველია... როგორ ხდება, რომ გაყვითლებული კბილებით დადიხართ?! კბილები მისვაქით გაიხეხეთ“. (აჰმედ ბ, ჰანბელ, I, 214)





## ვის სურს კბილის პასტა?

ზირიაბმა ათასი წლის წინ ესპანეთში კბილის პასტა ჩაიტანა.

კბილის პასტის სიმკვრივის რომ იყო, ამიტომ ეძახდნენ კბილის პასტას.

## დღეს რას ვაკეთებთ?

სხვადასხვა დანიშნულების კბილის პასტას ვიყენებთ. ამდენი საათის ეფექტიანიო, ამდენად გამათეთრებელიო, ამის შემცველიო, კიდევ ვინ იცის რამდენი დანიშნულების კბილის პასტას ვყიდულობთ და კბილის ჯაგრისზე ვუსმევთ. დღესდღეისობით მისვაკის ესენციის შემცველი კბილის პასტების გამოყენებაცაა შესაძლებელი.

## რატომაა მნიშვნელოვანი?

„მისვაქის გამოყენების შემდეგ შესრულებული ლოცვა, უმისვაქო ლოცვაზე სამოცდაათჯერ მაღლაა“.

(აჰმედ ბინ ჰანბელ, მუსნედ, VI, 272)

muslimgeorgia



## რატომ არის მნიშვნელოვანი სასიამოვნო სურნელი?

ჩვენს ძვირფას შუამავალს უთქვამს, რომ სასიამოვნო სურნელი მას სიამოვნებდა. (ნესაი, ისრეფუ'ნ-ნისა, 1)

ასევე დაარიგა მუსლიმები, რომ ხშირად მიეპკურათ სასიამოვნო სუნამო და სუფთად ყოფილიყვნენ. პარასკევ (ჯუმა) დღეებში კი სასიამოვნო სურნელის შემცველი ნივთიერების გამოყენებას განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას.

# სასიამოვნო სურნელი







## სად აღმოაჩინეს სუნამო პირველად?

მუსლიმმა მეცნიერმა, ალ-კინდიმ მე-9 საუკუნეში დაწერა წიგნი სუნამოზე. ეს წიგნი ასევე შეიცადა ინფორმაციას სურნელოვან ზეთებზე, არომატიზირებულ სითხეებსა და მალამოებზე.



muslim georgia



უცებ წარმოიდგინე წიგნი, რომლის გადაფურცვლისასაც სასიამოვნო სურნელი იფრქვევა. და შენ?



## როგორ აღმოაჩინეს?

მუსლიმი ქიმიკოსების წყალობით, მცენარეებისა და ყვავილების დისტილაციის შედეგად მიღებული სურნელით სუნამოებს ამზადებდნენ.





## ვინ მოვიდა? ვინ წავიდა?

მედინას ქუჩები, სადაც ჩვენი შუამავალი გაივლიდა, ვარდის სურნელით ივსებოდნენ. ჩვენს შუამავალს სუნამოს ერთგვარი ყუთი ჰქონია. დღის გარკვეულ მონაკვეთებში ამ სუნამოს იპკურებდა.

## საიდან სად!

ჯვაროსნული ომებიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, მოგზაურებისა და მოვაჭრეების წყალობით, სუნამომ ისლამური სამყაროდან ევროპამდე ჩააღწია.





# ჰენა

## ეს სადებავი ხომ არაა?

დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის ჰენას მცენარიდან მიღებულ ფხვნილს „ჰენა“ ეწოდება. ეს ფხვნილი წითური ფერის უტოვებს ყველაფერს, რასაც კი შეეხება.

## სად გამოიყენებოდა?

ჰენა თმის, თითებისა და ფრჩხილების შესაღებავად გამოიყენებოდა.

ტრადიციების მიხედვით, პატარძლებსა და ჯარში წამსვლელ ბიჭებს ჰენას უსმევენ.

მისი განმკურნებელი თვისების გამო, ადრე ზოგიერთი დაავადების დროსაც იყენებდნენ. უფრო მეტიც, ჩვენი შუამავალი წამლობის მიზნით ჰენას ისმევდა ხოლმე. (იბნ მაჯე ტიბბ, 29)

თმისა და ფრჩხილების მკვებავი თვისებაც გააჩნია.



# აბა შეშინებულებო, უკან დაბრუნდით!

„ჰენა“ არასასიამოვნო მნიშვნელობითაც რომ გამოიყენებოდეს, მსგავსს არაფერის უკავშირდება.



## როგორ გამოიყენებოდა?

ჰენას ცოტაოდენი წყლით არბილებდნენ და თითებზე, ხელისგულზე, მტევანზე სხვადასხვა ფორმით უსმევდნენ. ჰენას ხარისხის მიხედვით აჩერებდნენ და გარკვეული დროის შემდეგ იბანდნენ.

## რას ამბობდა ჩვენი შუამავალი?

„საუკეთესო მცენარე, რომელსაც თმის ფერის შესაცვლელად იყენებთ, ინა და სელია“. (ებუ დავუდ, ტერეჯჯულ, 18)

## დღეს რას ვაკეთებთ?

ჰენა დღესდღეობითაც გამოიყენება, როგორც ქალების სილამაზის ატრიბუტი. მოხერხებული ადამიანები ისეთ ლამაზ ფორმებს ქმნიან, რომ ჩარჩოში ჩასმა და ჩამოკიდება მოგინდება.



# ხელის მალამო

## დედები ურბილესი ხელებით

შესაძლოა დედებს მუდმივად მალამოს წასმის პროცესში ვხედავდეთ. მათი ხელები ჭუჭყის სარეცხ სითხესთან, დასასუფთავებელ საშუალებებთან იმდენად ხშირ კონტაქტში არიან, რომ ზიანდებიან. დედების ხელები ხომ სულ რბილი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ იყენებენ ხელის მალამოებს.

## რამდენი ხანია გამოიყენება?

ალ-ზაჰრავის თუ დავუჯერებთ, დედები ათას წელზე მეტია ხელებზე მალამოს ისმევენ.



გაგახსენდა ალ-ზაჰრავი? შეგიძლია გასახსენებლად წინა გვერდებს გადახედო.

muslim georgia
muslim international charity foundation

## რას ვაკეთებთ დღეს?

იმდენად ბევრი სახეობის მალამო არსებობს, ვარდის სურნელოვანი, კიტრის ექსტრაქტით, რძით, ნუშის თხილით, ქოქოსით, კაკაოთი, ვიტამინებით, მაწვნით... ზოგჯერ მავიწყდება კიდეც, რომ ისინი არ იჭმევა. ქოქოსის და კაკაოს მალამოს რომ ვხედავ, ნერწყვები მომადგება, თავს ვერაფერს ვუხერხებ.



# თმაზე ფორმის მიცემა





## აშლილი თმა

ჩვენს შუამავალთან მისულა კაცი, რომელსაც თმა საკმაოდ აშლილი ჰქონდა. მისი ეს მდგომარეობა ჩვენს შუამავალს არ მოეწონა და ხელით ანიშნა, რომ თმა დაევარცხნა. მასაც თმა დაუვარცხნია და ისე მოსულა.



## რა თქვა ჩვენმა შუამავალმა?

იმ კაცისათვის, რომელმაც თმა დაივარცხნა და ისე მობრუნდა, უთქვამს: "განა ასე არ ჯობია, ვიდრე რომელიმე თქვენგანი ეშმაკის მსგავსად თავზე თმაარეული, რომ მოვიდეს?" (მუვატტა, სა'არ 7)







## რატომ მაქვს ხვეული თმა?

ხვეული, სწორი ან ტალღოვანი თმის განმსაზღვრელი, თმის შემადგენლობაში არსებული გენეტიკური მასალაა.





## ჩვენი შუამავლის ყველაზე მოკლე თმა

ჩვენს შუამავალს ყველაზე მოკლე ყურის ბიბილოს სიგრძეზე ჰქონდა თმა. მისი სიგრძე ზოგჯერ ყურის ბიბილოს ცოტათი ქვემოთ იყო. მისი ცოტათი ტალღოვანი თმა ალბათ ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა.



## ჩვენი შუამავლის ყველაზე გრძელი თმა

ჩვენი შუამავალი ზოგჯერ იმდენად იზრდიდა თმას, რომ მხრებს სწვდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მეგობარს შორის ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ზოგჯერ თმას შუაში გაყოფდა და მარჯვნივ და მარცხნივ გადაანაწილებდა.





## რას აკეთებდნენ უწინ?

თმის ელექტრო დამასწორებელი არ იყო, მაგრამ გარკვეული კოსმეტიკური საშუალებებით მაინც ისწორებდნენ თმას. ათასწლეულის ცნობილი ექიმი ალ-ზაჰრავი ასე გადმოგვცემს.



## რას ვაკეთებთ დღეს?

დღესდღეისობით სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობის საშუალებით ვისწორებთ და ტალღოვან მოყვანილობას ვაძლევთ თმას. ეს ეფექტი რადა თქმა უნდა დიდი ხანი არ გრძელდება. ცვლილებები ზოგჯერ საჭიროცაა.





## ამინ ვთქვათ ამ ვედრებაზე

ჩვენი შუამავალი ასე ევედრებოდა: „ღმერთო, როგორც ჩემი სიცოცხლე, ჩემი ზნეობაც გამილამაზე“. (მუსნედ, I, 403)



# მზის ლოსიონი



## მზის სილამაზის მალამო

მზის ლოსიონი არ არის მალამო, რომელსაც მზე იმისათვის იყენებს, რომ ცაზე უფრო ბრწყინვალედ ან კაშკაშად გამოჩნდეს. ეს იმ მალამოს ეწოდება, რომელსაც მზის დამაზიანებელი გამოსხივებიდან დამცავი თვისება აქვს.



## რამდენი ხანია გამოიყენება?

ცნობილმა ექიმმა, ალ-ზაჰრავიმ თავის ნაშრომებში მზის სხივების ზიანსა და მზის ლოსიონის სარგებელზე მიგვითითა. თანაც ათასი წლის წინ.

## რას ვაკეთებთ დღეს?

ათასი წლის წინ მიღებული ცოდნა ჯერ კიდევ აქტუალურია. ჩვენ არ გვსურს, რომ მზის ქვეშ პომიდორის, ან თუნდაც შემწვარ კარტოფილს დავემსგავსოთ. სწორედ ამიტომ, ჩვენი კანის ტიპის მიხედვით სხვადასხვა შემადგენლობის მზის მალამოებს ვანიჭებთ უპირატესობას.



# მალამო ბრონზისფერი შეფერილობის მისაღებად



## ეს ოქროს მედალიონის მაგივრადაა?

რახან ოქროსფერი შეფერილობის ტანი ვერ გვექნება, ამიტომაც ბრონზისფერ კანს ვჯერდებით. კარგი, კარგი, მე უბრალოდ ვიხუმრე. დღესდღეისობით ისინი, ვისაც არ სურთ რომ თეთრი ყველის შეფერილობა ჰქონდეთ და უფრო კრემისფერი ყველის შეფერილობა მოსწონთ, ბრონზისფერი შეფერილობის მიმცემ საშუალებებს იყენებენ.

## რამდენი ხანია გამოიყენება?

ჩვენმა ძვირფასმა ექიმმა, ალ-ზაჰრავიმ ათასი წლის წინ თავის ნაშრომში ბრონზისფერი შეფერილობის მიმცემ მალამოები აღწერა. აქედან გამომდინარე, იმ დროსაც ყოფილან ადამიანები, ვინც კანის ფერის ყურადღებას აქცევდნენ.







არ ყოფილა სფერო, რომლითაც ალ-ზაჰრავი არ ინტერესდებოდა. კარგი იქნება ამ ყველაფერის თუ ჩაინიშნავ. შესაძლოა, ერთ დღესაც მას გაეჯიბრები.

## რას ვაკეთებთ დღეს?

დღესდღეისობით, როგორც კოსმეტიკურ საშუალებებში წარმოებული ბრონზისფერი შეფერილობის მიმცემი მალამოები გამოიყენება, ასევე ათასწლიანი ტრადიციის მიხედვით, სახლში დამზადებული ბუნებრივი საშუალებები არის გამოყენებაში. აი მაგალითად, სტაფილოს, სეზამისა და მიხაკის გარკვეული რაოდენობით შეზავების შედეგად ბუნებრივი ბრონზისფერი შეფერილობის მიმცემი მალამო მზადდება.



ან კიდევ კარგი სალათი მომზადდება.





# განსაცმელი ქსოვილები და ტექსტილი



## უსაზღვრო წყალობა

და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის საჩრდილობელი იმისგან, რაც გააჩინა. და დაადგინა თქვენთვის თავშესაფარი მთებში. დაადგინა თქვენთვის სამოსი, რომელიც სიცხისგან გიცავთ და სამოსი, რომელიც საფრთხისგან გიცავთ. ამგვარად, სრულჰქმნის თავის წყალობას თქვენზე, ეგების ჰმორჩილოთ! (ნაჰლ სურესი, 81.აყეც)

## ვინ დგას ყველაზე წინ?

ესპანეთი, სადაც მე-9 საუკუნეში მუსლიმები ცხოვრობდნენ, ქსოვილის წარმოებაში მოწინავე იყო. ბამბა და ტილო ირანში იწარმოებოდა და ესპანეთში იგზავნებოდა. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქსოვილის წარმოებაში ისლამური სამყარო ერთოდ გამრჯე იყო.

## რაში გამოიყენებოდა ქსოვილები?

- მოხეტიალე ხალხი მას კარვის, უნაგირისა და აკვნის დამზადებისას იყენებდა.
- ზემდგომი საჯარო მოხელეები სხვა მმართველებისათვის საჩუქრად, გაფორმებულ, მოქარგულ და ძვირადღირებულ ქსოვილებს არჩევდნენ.



- ოჯახებში ძირითადად სალოცავისათვის გამოიყენებოდა.
- ფარდის, ხალიჩის, მაგიდის გადასაფარებლისა და ტანსაცმლისთვისაც გამოიყენებოდა.



- ეს ხომ ქსოვილია, შესაძლოა ყველგან შეგხვდეს.





## რას უნდა მოვაქციოთ ყურადღება ჩაცმისას?

ჩვენი შუამავალი ამბობდა: „მორწმუნენო, ჭამეთ, სვით, ჩაიცვით და ღვთის გზაზე გაიღეთ, როგორიც გინებოთ ისე, მაგრამ ზღვარს არ გადახვიდეთ და არ გამედიდურდეთ“. (ბუხარი, VII, 33)



## ჩვენი შუამავალი ქსოვილის შერჩევისას

ჩვენი შუამავალი ბამბისა და შალისაგან დამზადებულ ტანსაცმელს იცმევდა, მაგრამ აბრეშუმის ტანსაცმლის ჩაცმას თავს არიდებდა.



# საზაფხულო

# ტანსაცმელი





## რა საჭიროა ამდენი წვალება?

მუსლიმები ცდილობდნენ წამოწყებული საქმე საუკეთესოდ გაეკეთებინათ. ამის მიზეზს შენთვის ვეძებდი და ამასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ჰადისს გადავაწყდი.

## აი ის ჰადისიც:

ჩვენი შუამავლის შვილიშვილს, ჰზ. ჰასანს უთქვამს: „შუამავალი საუკეთესო ტანისამოსის ჩაცმას და ყველაზე სასიამოვნო სურნელების მქონე სუნამოს გამოყენებას გვიბრძანებს“.

(ბუჰარი, ტარიჰუ'ლ-კებირ, I, 382)

## თურმე რა ამბები დატრიალებულა

მე-9 საუკუნეში მოდის დედაქალაქად ბაღდადი ითვლებოდა. ზირიაბად წოდებულმა ებუ ჰასან ალი იბნ ნაფიმ, ბაღდადიდან საზაფხულო ტანსაცმელი, ფეხსამელი და დასასუფთავებელი საშუალებები ესპანეთში ჩაიტანა და ევროპას გააცნო.



## მოდის გული

ფერადი და სხვადასხვა ფორმის ტანსაცმლით, ქუსლიანი თუ უქუსლო ფეხსაცმლებით, დეკორატიული ნივთებით და სილამაზის უამრავი საშუალებით, მოდის გული ბაღდადში ცემდა.




## ტანსაცმელი ხელით აქეთ

ისლამური ქვეყნებიდან ესპანეთში ფერადი ქსოვილები, თხელი ქსოვილებისაგან დამზადებული საზაფხულო ტანსაცმელი გავრცელდა. აქაურობა გახდა ადგილი, რომელსაც ევროპის სამეფო ოჯახები მოდის ცენტრად მიიჩნევდნენ.





## ვინ არის ტანსაცმელში კომპეტენტური?

მუსლიმები სეზონურ ტანსაცმელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და საზაფხულო ქსოვილების წარმოება დაიწყეს. ზამთარში სითბოს შესანარჩუნებლად ბამბის ან შალის ტანსაცმელს ანიჭებდნენ უპირატესობას. საზაფხულოდ ბამბის, აბრეშუმის ან ტილოს ქსოვილებისაგან ამზადებდნენ ტანსაცმელს.





## ფერებზე მესაუბრე

ტანსაცმელი სხვადასხვა ფერის საღებავებით გაამრავალფეროვნეს.

## როგორ მზადდებოდა?

საფირონისაგან ყვითელ ფერს ღებულობდნენ. კარმინისაგან ნათელ და ბრჭყვიალა წითელ ფერს ღებულობდნენ

## ფერები, რომლებსაც ჩვენი შუამავალი ანიჭებდა უპირატესობას

ჩვენი შუამავალი თეთრი, შავი, ყვითელი, მწვანე და წითელი ფერის ტანსაცმელს იცმევდა, მაგრამ თეთრ ფერს ანიჭებდა უპირატესობას. ჩვენ, მუსლიმებსაც თეთრი ფერის ჩაცმისაკენ მოგვიწოდებდა.

## რას იცმევდა ჩვენი შუამავალი?

ჩვენი შუამავალი სეზონური საჭიროების მიხედვით მანტისა და კარდიგანს იცმევდა.





## რომელ ტანსაცმელს იცმევდა ჩვენი შუ-ამავალი ყველაზე ხშირად?

ტანსაცმელი, რომელსაც ჩვენი შუ-ამავალი ყველაზე ხშირად იცმევდა იყო პერანგი, რომელიც წინ იკვრე-ბოდა და კოჭებამდე სწვდებოდა.

## შეგვიძლია ჩვენც დავინახოთ?

შენ შეგიძლია იხილო კარდიგა-ნი, რომელსაც ჩვენი შუამავალი იცმევდა. ამისათვის შეგიძლია თოფქაფის სასახლის წმინდა ნივთების ნაწილში გამოფენილ მის კარდიგანთან მიხვიდე.

## რას ვაკეთებთ დღეს?

საზაფხულო და საზამთრო ტანსაცმელი განცალკევებით იწარმოება. ამის წყალობით, შეგვიძლია ზაფხულში ისეთი ტანსაცმელი ჩავიცვათ, რომელიც გრილად გვამყოფებს და ზამთარში კი – ტანსაცმელი, რომელიც სიცივისაგან დაგვიცავს. რა მოგვივიდოდა, ზაფხულში მატყლისაგან დამზადებული ტანსაცმელი რომ ჩაგვეცვა?



# ბრტყელძირიანი ფეხსაცმელი

## სად მოვიპოვეთ ინფორმაცია?

შუა საუკუნეებში მოღვაწე ორმა მუსლიმმა, სარი ას-საქათმა და იბნ აბდუნმა თავიანთ ნაშრომებში ბრტყელ ძირიანი ფეხსაცმლის წარმოებაზე ინფორმაცია მოგვაწოდეს. აღწერეს თუ რომელი მასალა უნდა გამოვიყენოთ, ძირი რომ არ გატყდეს და რომელი დეტალი როგორ უნდა გავამყაროთ.

muslim georgia



## რას ვაკეთებთ დღეს?

ეს ტექნიკები დაიხვეწა და დღესდღეისობით კლასიკურ ფეხსაცმელს, სანდლებს, ჩექმებს, სპორტულ ფეხსაცმელებსა და შლოპანცებს ვაწარმოებთ.

შენც შეგიძლია, საკუთარი ფეხსაცმელი შექმნა.

## ჩვენი შუამავლის ტენდენცია

ჩვენი შუამავალი სანდლებს ანიჭებდა უპირატესობას.

## ნაკვალევზე გაყოლა

ჩვენი შუამავლის ნაკვალევზე გზის გასაგრძელებლად, რა თქმა უნდა შეგიძლია თოფქაფის სასახლეში გამოფენილი მისი ფეხის ნაკვალევი იხილო. მის გაკეთებულ სუნას თუ გააკეთებ, მის ნაკვალევს გაჰყვები. მე ამ მხრივ დაფიქრებასაც გირჩევდი.





# ხალიჩა

## როდის გამოჩნდა თავდაპირველად?

ისლამამდე პერიოდში არაბეთში, ირანსა და ანატოლიაში ხალიჩა კედელზე ჩამოსაკიდებლად გამოიყენებოდა. მუსლიმებმა ტყავისა და ქსოვილის საღებავებით ხალიჩები შეღებეს, სხვადასხვა ფორმა და ნაკეთობა მისცეს და გაალამაზეს.





## რად გამოიყენებოდა?

უდაბნოში ქვიშის ხარიშხლის წინააღმდეგ ფარის ფუნქციით, აქლემებზე მარტივად დასაჯდომად, ლოცვის შესასრულებლად, სალოცავის ფუნქციით, სამლოცველოების კედლების გასალამაზებლად გამოიყენებოდა.



## სად მოვიპოვებთ ინფორმაციას?

ტუნისელმა იბნ ბადისმა მე-11 საუკუნეში წიგნი დაწერა, რომელშიც მელანსა და საღებავზეა საუბარი.



## სად გავრცელდა?

ბრიტანელები მუსლიმების ხალიჩებს პირველად მე-12 საუკუნეში გაეცნენ, როდესაც ერთ-ერთ ეკლესიაში ხალიჩა ძღვნად მიიტანეს.



## როგორ გახდა ცნობილი?

მუსლიმებს შორის ხალიჩა, თავისი მოხატულობითა და ნაკეთობებით, თავისი ფორმებით ხელოვნების ნიმუშად იქცა. ევროპაში გავრცელების შემდეგ, სიძლიერის სიმბოლო გახდა.


## როგორ გახდა ცნობილი?

მუსლიმებს შორის ხალიჩა, თავისი მოხატულობითა და ნაკეთობებით, თავისი ფორმებით ხელოვნების ნიმუშად იქცა. ევროპაში გავრცელების შემდეგ, სიძლიერის სიმბოლო გახდა.


ხალიჩების დამზადება გარკვეულწილად მათემატიკის, ანგარიშისა და გეომეტრიის ცოდნას საჭიროებს.

## დღეს რას ვაკეთებთ?

დღესდღეისობით, ჩვენს სახლებში თითქმის ყველა ოთახშია დაგებული ავეჯის შესაფერისი ფერადი და გაფორმებული ხალიჩები. უფრო მეტიც, ბავშვების ოთახებში დაგებულ ხალიჩებზე მულტიპლიკაციური ფილმების გმირები არიან ასახული. კედლებზე ხალიჩებს აღარ ვკიდებთ, თუმცა სალოცავის ფუნქციით ჯერ კიდევ გამოვიყენებთ.



# ნივთები შუშა



## რომელ დროს უკავშირდება?

ძვ. წ. 12000-სა და ძვ. წ. 4000 წლებს შორის შუშა დეკორატიული მძივების გასაკეთებლად გამოიყენებოდა. ძვ. წ. 1-ელ საუკუნეში სირიელმა შუშის ოსტატებმა ე.წ. „შუშაში ჩაბერვის ტექნიკა"-ად წოდებული ტექნიკის გამოყენება დაიწყეს. ეგვიპტელი, ერაყელი და ანდალუზიელი (ახლანდელი ესპანეთი) მუსლიმები შუშებს აწარმოებდნენ. წარმოებულ შუშას ჯერ კიდევ გახურებულ ფორმაში ასვამდნენ ბეჭედს.



ისტორიული გამოთვლით, წელთაღრიცხვა ჰზ. ისას დაბადების თარიღიდან იწყება და წელს უჩვენებს. მანამდე პერიოდს ძველი წელთაღრიცხვით მნიშვნელობის „ძვ. წ." სიმბოლოთი აღნიშნავენ. შემდეგი დროის გამოსახატავად ახალი წელთაღრიცხვით თქმა არ სჭირდება. წლების ათვლა იწყება 1, 2, 3.... და დღემდე მოდის.





## სად იყო ცნობილი?

წარსულში ალეპო და დამასკო შუშის წარმოების ცენტრი იყო. საქვეყნოდ ცნობილი მოგზაური, იბნ ბატუტა განუწყვეტლივ ახსენებდა, თუ რამდენად განვითარებული იყო სირიაში შუშის წარმოება.





## სადამდე მიაღწია?

იმდენად ხარისხიანი შუშა იყო სირიაში, რომ მსოფლიოს ოთხივე მხრიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები, შუშის ნაკეთობებს ყიდულობდნენ და თავიანთ სამშობლოში მიჰქონდათ. შვეიცარიაში, რუსეთსა და ჩინეთში არქეოლოგიური გათხრების წყალობით საუკუნეების წინანდელი სირიული შუშები აღმოაჩინეს.

## რისთვის გამოიყენებოდა?

- სამარელი შუშის ოსტატების დამზადებული სუნამოს ბოთლები ძალიან პოპულარული იყო.



- საჭმლის ჯამები, ჭიქები და ბოთლები მზადდებოდა.
- აქსესუარადაც გამოიყენებოდა. მათ მოზაიკურად ხვეწდნენ, აფერადებდნენ და აყალიბებდნენ.

## ქვიშასავით იფანტება?

თურმე ეს ნივთიერება, რომელსაც შუშას ვუწოდებთ, ქვიშის, სოდისა და კირისაგან შედგება. ქვიშა მეთქი, მეგობარო. აბა დაფიქრდი... ქვიშა, რომელიც თითებს შორის გვეცლება, შუშის ფორმას ღებულობს.



## ვერ ვიაზრებ, ეს როგორ ხდება

პარკში ქვიშისაგან ციხე-სიმაგრეს რომ ვაგებთ, მამაჩემის ხელში არსებული სოდა ამ ქვიშას რომ მიმოებნიოს, უკან მდებარე მშენებლობიდან რომ კირი შეერიოს, შუშის ფორმას მიიღებს?



## როგორ ხდება ეს ამბავი?

ნედლეულები, რომლების შუშას ქმნიან, 15000°-იან ღუმელში თავსდება დასადნობად. ანუ, თამაშისას, ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია ქვიშა შუშად იქცეს. ჰაერის ტემპერატურა 15 ათას გრადუსს თუ მიუახლოვდება, ეგ სხვა ამბავია.



## დღეს რას ვაკეთებთ?

დღესდღეისობით უკვე ცნობილია, რომ პლასტმასის ჭურჭელი ისე როგორც ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსათვის საზიანოა. სწორედ ამიტომ, წყლის, რძის, აირანის, წვენებისა და მსგავსი პროდუქტისათვის შუშის ბოთლებს ვანიჭებთ უპირატესობას. პლასტმასის ბუნებაში შერევას 3 ათასი წელი სჭირდება. პლასტმასის მაგივრად, რომელიც გარემოსათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს, შუშის პროდუქციას ვიყენებთ.



## წყლის ჭურჭელი

ჩვენთვის, მუსლიმებისათვის, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძვირფასი წყლის ჭურჭელი ისაა, რომლიდანაც ჩვენი ძვირფასი შუამავალი სვამდა წყალს. ჩვენი შუამავალი ხის ჭურჭლიდან მიირთმევდა წყალს.

## აბა ამოქექე

ევროპაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ათასობით წლის წინანდელი, მუსლიმების დამზადებული კერამიკა და ქოთნები აღმოაჩინეს.



## ყველაფერი, რაც ცხვებოდა, არ იჭმებოდა

როგორც მკვლევარმა, თურქული ენის ლექსიკონი გადავათვალიერე. იქ კერამიკაზე შემდეგი რამ წერია: „მაღალ ტემპერატურაზე, გამომცხვარი მიწით დამზადებული ლარნაკი, ჯამი, ქოთანი და სხვა ნივთი.“ არ როგორც ხედავთ, შესაძლოა ღუმლიდან გამოსული ყველაფერი ნამცხვარი, ბორექი ან ფუნთუშა არ იყოს.



# ქოთანი

## რაში გამოიყენებოდა?

ქოთნები, საჭმლის ჭურჭლის, რძის ჭურჭლის, სარეცხის გასარეცხი ჭურჭლისა და განათების დატვირთვით გამოიყენებოდა.





შენც შეგიძლია პოლიმერული თიხისაგან ფერად-ფერადი, სხვადასხვა ნაკეთობები გამოძერწო და ღუმელში გამოაცხო.

## როლის იყო პოპულარული?

800-იან წლებში ბაღდადსა და სამარაში მექოთნეობა პოპულარული იყო. უფრო მეტიც, ფერად-ფერად, სხვადასხვა ფორმის ქოთნებს ამზადებდნენ და ექსპორტზე გაჰქონდათ.

## რომელი ფერის ქოთანს ისურვებდით?

აბასიანთა სახალიფოში თეთრზე ლურჯი ფერის მოხატულობები ყოფილა პოპულარული.



## კერამიკა განვიხილოთ

მე-8 საუკუნეში ერაყში ალზირდილმა კერამიკის ოსტატებმა აღმოაჩინეს, რომ კერამიკის ჭურჭელში ლაქის დამატებით, ჭურჭელი უფრო ეფექტური და ძვირფასი ხდებოდა.



## აბა მოვიდეს საჭმელები!

მუსლიმმა მექოთნეებმა კერამიკის ჭურჭლით შემდგარი, საჭმლის სერვისი აწარმოეს. სხვადასხვა ტექნიკებით თეფშების გაფორმება დაიწყეს და იმ საუკუნეში ფურორი მოახდინეს. სუფრები კიდევ უფრო გალამაზდა.

## დღეს რას ვაკეთებთ?

გაფორმებული ჭურჭლის სერვისი ჯერ ისევ მოგვწონს და ვიყენებთ. დღესდღეისობით ძირითადად ფაიფური გამოიყენება, მაგრამ ქოთნები ანატოლიის ჯერ კიდევ განუყოფელი ნაწილია.

# კრისტალი



## კრისტალი ქვიშის ნამცეცია

887 წელს აბას იბნ ფირნასმა სცადა, ქვიშისა და ქვისაგან შუშა შეექმნა. შემდეგ კი მივიღეთ კრისტალის ჭიქები, ჭურჭლები, თასები...

ვფიქრობ, მოვიდა დრო განვმარტო, თუ რას ნიშნავს სიტყვა „იბნ“. „იბნ“ ვაჟს ნიშნავს. აბას იბნ ფირნასი, „ფირნასის ვაჟი აბასი“-ს ნიშნავს.

## რა დღეებმა განვლო!

კრისტალი, საჭმელებში გამოსაყენებლად აბას იბნ ფირნასმა შეიტანა ანდალუზიაში. შემდეგ კი სუფრის გაწყობისას, თვალში მოსახვედრი კრისტალის გამოყენებას მიჰყეს ხელი.

## როგორ წარმოიქმნება კრისტალი?

3 სანტიმეტრ კრისტალში 100 მილიონჯერ 100 მილიონჯერ 100 მილიონი ატომია მოთავსებული.

ატომები სხვადასხვა ფორმით ერთიანდებიან და მოლეკულას წარმოქმნიან. კრისტალებიც სწორედ ასე ერთიანდებიან და მნახველებს თვალს სჭრიან.

muslim georgia



## ფრთხილად! მსხვრევადი ნივთია!

შენ წადი ანდალუზიიდან და ევროპულ ეკლესიებში კრისტალი მიიტანე. გზაში ყველაფერი ნაცარტუტად რომ ქცეულიყო? აბა, საქმე თუ არ გაქვს, უკან დაბრუნდი, ახლები შეიძინე, მოდი...

## მოიცა, არ გადაჭრა!

კრისტალების დაჭრა და მათთვის სწორი ფორმის მიცემა მნიშვნელოვანი ყოფილა. ამ ყველაფრის მარტივად გასაკეთებლად იბნ ფირნასმა სპეციალური აპარატურა გამოიგონა.

‘ბინ’ და ‘იბნ’ ერთმანეთის სახეცვლილი ფორმაა. ორივეს ერთი მნიშვნელობა აქვს.

## შემოქმედზე მესაუბრე!

ჩვენმა შემოქმედმა, ალლაჰმა, ყველაფერი შესაფერისად შექმნა. ყურ'ანში ასე წერია: "და ნახავ რომ მთები, რომლებსაც უმოძრაოდ თვლიდი, ამოძრავდებიან ღრუბლებივით. ასეთია განგება ალლაჰისა, რომელმაც ყველაფერი სრულყოფილად დაადგინა. უეჭველად, იგი უწყის იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!„ (ნემლ სურესი, 88.აყეტ)

muslim georgia

# ძვირფასი ქვები

## ძვირფასი ქვები, რომლებიც ჩვენს წიგნშია მოხსენიებული

შემოქმედი ყურ'ანი ქერიმში თავის ძღვენზე, ამ ქვეყნიური სილამაზეებზე მოგვითხრობს. ეს როგორც კი გაიგე, მაშინვე გადაამოწმე.



## ოქრო

"ისინი, მარადიულ ბაღებში შევლენ, სადაც შემკულნი იქნებიან ოქროს სამაჯურებით, მარგალიტებით და აბრეშუმის სამოსით.„ (ფატირ სურესი, 33.აყეც)

## მარგალიტი

"ორი მათგანიდან ამოდის მარგალიტი და ძოწი„

(ღაჰმან სურესი, 22.აყეც)



## ლალი

"თითქოს ისინი ლალი და ძოწია.„

(ღაჰმან სურესი, 58.აყეც)

## ზურმუხტი

"მათ (ეცმევათ) სამოსი მწვანე აბრეშუმისა, ატლასისა და შემკულნი ვერცხლის სამაჯურებით და დაარწყულა ისინი თავიანთმა ღმერთმა წმინდა სასმელით.„

(ინსან სურესი, 21.აყეც)



## სად მოიპოვებოდა ეს ყველაფერი?

ძველ დროში, ანუ ძალიან დიდი ხნის წინ რომ გეცხოვრა, ზურმუხტისათვის – ეგვიპტეში, ფირუზისათვის – ფერგანაში, ლალის ბეჭდისათვის – ავღანეთში, აქატისა და ონიქსისათვის კი იემენსა და ესპანეთში მოგიწევდა წასვლა.



## იჭმევა ეს ყველაფერი?

ზურმუხტზე, ლალზე, მარგალიტზე, მარჯანზეა საუბარი. თუ ეს დედაშენის თავისივე აღმოჩენილ საჭმელებზე დარქმეული სახელები არაა, მაშინ ვწუხვარ, არ იჭმევა.



## ცვლილებების დრო

იბნ ფირნასმა კვარცი და ქვიშა გარკვეულ პროცესებში გაატარა და შუშის მიღება შეძლო.



## პირველი მარგალიტი

ძველი არაბული თქმულების თანახმად, მთვარის შუქზე წვეთები ოკეანეში რომ დაეცემა, ხამანწკები ამ წვეთებს თუ ჩაყლაპავენ, მათში მარგალიტი წარმოიშვება. ეს უბრალოდ თქმულებაა.

## სიმართლე მითხარი

პატარა ხამანწკა ღია მდგომარეობაში როცა არის, მასში სულ მცირე რამის მოხვედრაც პანიკაში აგდებს. ეს შეიძლება მტვერი იყოს ან პატარა მწერი, ვინ იცის. ამ პანიკურ მდგომარეობაში ხამანწკა ერთგვარი სითხის წარმოქმნას იწყებს, მასში მოხვედრილი სხეული რომ დაფაროს. მას თავიდან ბოლომდე ფარავს. სწორედ ასე მიიღება მარგალიტი.

## მარგალიტივით კბილები მაქვს

მარგალიტივით კბილების ქონა არ ნიშნავს, რომ მოცლილი კბილებით ყელსაბამს გაიკეთებ. ძალიან ცუდი შესახედავი იქნება. მარგალიტის ყელსაბამი თუ გინდა, მარგაიტის მოსაძიებლად უნდა გასწიო.



## რაში გამოიყენებოდა?

- ძველად ამ ძვირფას ქვას იარაღების მოსართავად იყენებდნენ.
- ქალები აქსესუარის ან სამკაულის დაცვირთვით იყენებდნენ. ყელსაბამისა და საყურის დამზადებისას მარჯნის ქვაც ხშირად გამოიყენებოდა. მარჯნის ქვები ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე მოიპოვებოდა.

## ღრმად ჩაყვინთე

დღესდღეისობით მარგალიტის მოსაძიებლად ზღვის ფსკერზე არ ყვინთავენ. ძველად კი, მსოფლიოში საუკეთესო მარგალიტი ირანის ყურიდან მოდიოდა. იქაური მყვინთავები ღრმად ისუნთქავდნენ, სიღრმეზე ყვინთავდნენ და მარგალიტები ამოჰქონდათ. შენ სხვებს შეეშვი და ოცნებებში ჩაიძირე.





- ხელმწიფეები თავიანთ ჩალმებს ძვირფასი ქვებით ამშვენებდნენ.
- კრიალოსნების დამზადებისასაც გამოიყენებოდა.

## მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სამკაული

ჩვენთვის, მუსლიმებისათვის, მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი სამკაული, რაღა თქმა უნდა ჩვენი შუამავლის ვერცხლის ბეჭედია. შენც ხომ ასე ფიქრობ?



## რომელ თითზე გავიკეთოთ?

ჩვენი შუამავალი ბეჭედს ძირითადად მარჯვენა ხელზე იკეთებდა. საჰაბეებმა ეს რომ დაინახეს, მათაც მარჯვენა ხელზე გაკეთება დაიწყეს. ალბათ იცყოდნენ, რომ ამ ქვეყანაზე ალლაჰის შუამავალს მივბაძოთ, რათა იმ ქვეყანაზეც მის გვერდით ვიყოთო.

## ჩაინიშნე

„საჰაბი“ ეწოდება მას, ვინც ჩვენი შუამავალი სიცოცხლეში მუსლიმად ცნო და მას გაესაუბრა.





muslim georgia



# აიათი ლაიწყე

"და იგია, რომელმაც ზეციდან წყალი გარდმოავლინა. და ამით ჩვენ აღმოვაცენეთ ყველაფერი მცენარეული, ასე აღმოვაცენეთ მწვანე ნაზარდი, რომლისგან რიგში განწყობილ თავთავს აღმოვაცენებთ, და პალმის ბუტკოებისგან ჩამოხუნძლული მტევნები, და ზვირების, ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღები, ერთმანეთის მგვანი და განსხვავებული. შეხედეთ ნაყოფსა მისსას, როცა ისხამს და მწიფდება. უეჭველად, ამაში სასწაულნია მორწმუნე ხალხთათვის.„ (ენ'ამ სურესი, 99.აყეტ)

## რა გავაშენოთ?

ტიტისა და მიხაკის გაშენება ისლამურ სამყაროში დაიწყო და შემდეგ ევროპაში გავრცელდა. მიჩნეული იყო, რომ ტიტის ინგლისური შესატყვისი „ტულიპ“ სიტყვა „ტüლბენტ“-იდან (თავსაფარი) იწარმოა.

## რაში გამოიყენებოდა?




- ხილი და ბოსტნეული მოჰყავდათ.
- ყვავილებსა და ხეებს უფრთხილდებოდნენ, გარემოს სისუფთავეს ყურადღებას აქცევდნენ.
- ხილის ნერგის დარგვა, მომავალი თაობისათვის მნიშვნელოვანი დაბანდებაა.
- ყვავილების წყალობით ბაღები მშვენდება და ადამიანები სიმშვიდეს ჰპოვებენ.

# მცენარეები?







# მოდული

## რაში გამოიყენებოდა?

- მცენარეები წამლის დასამზადებლად გამოიყენებოდა.
- ზოგიერთი მცენარიდან ბუნებრივი კოსმეტიკური საშუალებები მზადდებოდა.
- ბაღების, სასახლეებისა და სახლების მოსართავად გამოიყენებდნენ. ბაღების მრავალფეროვნებითა და სილამაზით მრავალი სასახლე იყო ცნობილი.



## ვინ აიღო მაგალითი?

- სამეფო პავილიონმა ბრაიტონში, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში 1700-იან წლებში ინდურ-არაბული გავლენებით აიგო და ისლამური სამყაროს სხვადასხვა კერიდან ჩამოტანილი ნაირ-ნაირი ყვავილებით მორთო.

- ფლორენციაში მდებარე სტიბერტის ბაღი ტრადიციული აღმოსავლური ელემენტებითაა შექმნილი.
- იტალიური საუნივერსიტეტო ქალაქების ბაღების კონსტრუქციაც ისლამური სამყაროდან იყო გადაღებული.
- ესპანეთში, ქალაქ ტოლედოს ბაღებში შუა აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი მცენარეების სახეობები იყო.
- ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე, სევილიაში ევროპის ერთ-ერთი პირველი სამეფო ბოტანიკური ბაღი იყო და აქ შუა აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი მცენარეების აკლიმატიზაცია ხდებოდა.

# მცენარეები



## რა გააკეთა?

იბნ ავვამმა მანამდე არსებული ყველაზე ვრცელი ნაშრომი დაწერა სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაზე. ამ ნაშრომში უამრავ მცენარეზე იყო საუბარი. უფრო მეტიც, მცენარეების ჩანახატებსაც ეთმობოდა ადგილი.



# კარვები

## კარვის აწყობა, დამაგრება

ცივი და რთული ამინდის დასაძლევად, გამძლე ნივთიერებებით დამზადებულ, საყრდენზე დამაგრებულ, პორტატულ დასამაგრებელ ნავსაყუდელს „კარავი“ ეწოდება.

## იყო ძველად კარვები?

ეს რა კითხვაა? თავი შემირცხვეს! როგორ შეიძლება მსგავსი კითხვა დავსვა? კარავი უკვე ათასობით წელია კაცობრიობის აუცილებელი ატრიბუტია. ბეტონის სახლების აშენებამდე დიდი ხნით ადრე, ნავსაყუდლად კარავი გამოიყენებოდა.



## რა სარგებელი მოჰქონდა?

- მოხეტიალეთათვის სახლისა და თბილი კერის ფუნქციას ასრულებდა.
- ზეიმების დროს ხელმწიფეთათვის დიდი და თვალსაჩინო კარვები იგებოდა.
- ომში წასვლისას ხემლწიფეებისათვის განკუთვნილი კარვები იყო.
- ცირკისა და გართობისათვის ცალკე კარვები არსებობდა.

muslim georgia

## ხელი ასწიეთ მათ, ვისაც კარვები უყვარს!

თურქული კარვები ევროპაში პოპულარული გამხდარა. ხელმწიფეები სასახლის ეზოებში თურქულ კარვებს აშლევინებდნენ.





## დღეს რას ვაკეთებთ?

დღესდღეისობით მზვერავის კარვებით დაწყებული ცირკით დასრულებული, კარვები გამოიყენება.

# შადრევნები

## მოჩუხჩუხე შადრევნები

ერთ რამეზე შევთანხმდეთ, შადრევნები ჩუხჩუხით არ მუშაობენ. მათ რომ მიუახლოვდე და უთხრა, აბა შადრევნებო, ლამაზო შადრევნებოო, ავზის მექანიზმი არ ამუშავდება და წყალი არ ამოიფრქვევა.

## სად გამოიყენებოდა?

ძირითადად ეზოების გასალამაზებლად, აუზების გასალამაზებლად გამოიყენება და ძველად მეჩეთის ეზოებსა და სასახლის ეზოებში ვხვდებოდით.

## რა სარგებელი მოაქვთ?

წყლის ხმა ადამიანებს ამშვიდებს და ადუნებს. შადრევნების წყალობით კი ადამიანები ისვენებდნენ.



## რომელია ყველაზე ცნობილი?

შადრევანი, რომელიც 1359 წელს მუჰამმედ V-მ ესპანეთში ააგებინა ძალიან ცნობილი იყო. ალჰამბრას სასახლეში, ლომის ეზოში არსებული შადრევანი, თორმეტი ლომით გარშემორტყმულ, დეკორატიულ ავზს წარმოადგენდა. ამბობდნენ, რომ თორმეტი ლომი თორმეტ თვეს, თორმეტ საათს აღნიშნავდა.

# ჩვენი შემოქმედის საჩუქარი

"რომელმაც თქვენთვის დედამიწა სარეცელად გაფინა და ზეცა კამარად, ზეციდან წვიმა გადმოავლინა და ამ წვიმით ნაირ-ნაირი ნაყოფი სარჩოდ აღმოგიცენათ. დაე, შეგნებულად არ გაუჩინოთ ალლაჰს თანაზიარნი!„ ( ბაკარა სურესი, 22.აიეთ)



## ლომო, ლომო, რომელი საათია?

აღჰამბრას სასახლის ლომიან შადრევანს ერთი თვისება ჰქონია. საათი როგორც კი შესრულდებოდა, ერთ-ერთი ლომის პირიდან წყალი გადმოდიოდა. აი მაგალითად, ხუთი საათი რომ შესრულდებოდა, რიგით მეხუთე ლომის წინ თუ იდექი, კარგად დასველდებოდი.

## დღეს რას ვაკეთებთ?

დღესდღეისობით, აუზებზე, პარკებში, ღია სივრცეებში და ეზოების მოსარწყავად შადრევნები იგება. უფრო მეტიც, სახლისა და სამსახურის სახანძრო სიგნალიზაციაში სახანძრო პიდრანტების სისტემა მუშაობს. უნდა ვთქვა, რომ შადრევნიდან წამოსული წყლის ქვეშ თამაშიც ძალზე სასიამოვნოა. ერთხელაც დედას ნება უნდა სთხოვო და ეს სცადო.

# ჭადრაკი



## როდის გამოჩნდა?

რეალურად, ჭადრაკის წარმოშობა არ არის ზუსტად ცნობილი. არის მოსაზრება, რომ მისი წარმოშობა ჩინეთს უკავშირდება, ასევე არსებობს ინდოეთიდან ან ირანიდან წარმოშობის მოსაზრებაც. როგორც ჩანს, სწავლულები დაიბნნენ.

## როგორ გავრცელდა?

ყველგან და ყველა სიახლესთან ზირიაბი გვხვდება. მან მე-9 საუკუნის დასაწყისში ჭადრაკი ანდალუზიაში (დღევანდელი ესპანეთი) ჩაიტანა და იქედან მთელ მსოფლიოში გავრცელებას შეუწყო ხელი.

## ქიში და შამათი

„შაჰ მათ“ (შამათი) არაბულიდან ითარგმნება როგორც „მეფე მოკვდა“. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, სპარსულიდან სხვადასხვა ენებში დაიდო ადგილი.



## ვინ იგებს ამ თამაშს?

1769 წელს ვენაში, მექანიკოსმა ვოლფგანგ ფონ კემპელენმა იმპერატორისათვის, მარია ტერეზასათვის „რკინის მუსლიმი“-ს სახელობის აპარატურა შექმნა. ამ მუშა აპარატურაზე თურქის ფიგურა იყო მოთავსებული. მოხალისეები ამ აპარატურას ეთამაშებოდნენ.

ეს სწორად ვერავინ გაიგო. ყველას უკვირდა, თუ როგორ შეიძლებოდა, რისგან დამზადებულ ამ რაღაცას ადამიანთან ეთამაშა და დაემარცხებინა კიდეც. თურმე ამ აპარატურის შიგნით ჭადრაკის ოსტატი იყო დამალული. უფრო მეტიც, დროგამოშვებით ეს ოსტატები იცვლებოდნენ. თავის დროზე ამ აპარატურას „ოსმალელი თურქი“ ეწოდა.

ვაუ! ვაუ! ვაუ! მართლაც ჭკვიანური სვლაა...




## რა არის ჭადრაკი?

8 ჰორიზონტალური (–) და 8 ვერტიკალური (|) კვადრატისაგან შემდგარი, 64 კვადრატიანი, ჭადრაკის მაგიდასთან სათამაშო თამაში.

muslim georgia

კიდევ ერთი წიგნის დასასრულს მივუახლოვდით. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, წიგნის სერიის დასასრულს მივუახლოვდითო. ამ სერიის წინა წიგნებიდან ერთად აღმოვაჩინეთ ჩვენს ცხოვრებაში, სამყაროში და საგანმანათლებლო სამყაროში დამალული მეცნიერული განძები. თითქმის ყველა სფეროში დაინახე მუსლიმი მეცნიერების ღვაწლი, ხომ ასეა? ამ სამყაროში არ არსებობს მცირე და უმნიშვნელო რამე. შრომა, გარჯა, აღმოჩენა, დაფიქრება, გონების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი ჩვენი შემოქმედის შექმნილი სილამაზეების აღმოჩენას ისახავს მიზნად. ჩვენს წიგნში, ყურ'ანში, შემოქმედი აქებს გონებაგახსნილ და მოაზროვნე ადამიანებს. ისინი, ვისაც სწამთ და ამ რწმენით კეთილ საქმეებს აკეთებენ, გონების გამოყენებით კაცობრიობას ეხმარებიან, ამ ქვეყანაზეც და იმ ქვეყანაზეც მუდამ ერთი ნაბიჯით წინ არიან. და შენ რას შეჰმატებ ამ სამყაროს? თუ გინდა, ამის შემდეგ გაკვეთილის მოსმენისას, წიგნის წაკითხვისას და ახალი რამის შესწავლისას ამაზე იფიქრე. გისურვებ, რომ ამ ცხოვრებაში რწმენით კარგი საქმეები გეკეთებინოს.



წიგნში გამოყენებული ინფორმაცია, სალიმ თ შ ალ-ჰასსანის რედაქტორობით დაწერილ „1001 გამოგონება, სამყაროს ისლამის მემკვიდრეობა"-სა და ფუატ სეზგინის „სტამბოლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მუზეუმი" ნაშრომებზე დაყრდნობით დაიწერა.